ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

6 აპრილი

1. 5-ქულიანი შეკითხვა
[შეკითხვის წაკითხვამდე შეახსენეთ მონაწილეებს, რომ ტელეფონებს ხმა უნდა გამოურთონ ან გათიშონ.]

ერთმა ცნობილმა **მევიოლინემ** დარბაზში შექმნილი **უხერხული მომენტი იქსის მელოდიის განმეორებით განმუხტა**. თუ გაითვალისწინეთ **ჩვენი მოთხოვნა**, იქსს უახლოესი დროის განმავლობაში **ვერ გაიგებთ**. დაწერეთ იქსი **ერთი** ან **ორი** სიტყვით.

პასუხი: ტელეფონის ზარი
ჩათვლა: რინგტონი, აზრობრივად სწორი პასუხები
კომენტარი: უხერხული მომენტის განსამუხტავად მევიოლინემ ნოკიას ცნობილი ზარი ვიოლინოთი გაიმეორა, რამაც მსმენელი გაამხიარულა. კითხვის დაწყებამდე კიდევ ერთხელ შეგახსენეთ წესი, რომლის თანახმადაც უნდა გამორთოთ მობილური ტელეფონები ან გაუთიშოთ ხმა.
წყარო: https://www.youtube.com/watch?v=uub0z8wJfhU

2. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

Trash *****

ინდოეთში მდებარეობს **ნაგავსაყრელი**, რომელიც ცნობილია როგორც **ადგილობრივებისთვის**, ასევე **ტურისტებისთვის**. ინტერნეტმომხმარებელმა ნაგავსაყრელზე ნარჩენებისგან შექმნილ **უზარმაზარ ნაგებობას** შეარქვა მასალაზე მოცემული **მეტსახელი**. დაწერეთ მასალაზე დაფარული სიტყვა **ხუთი ინგლისური** ან **ექვსი ქართული** ასოს გამოყენებით.

პასუხი: mahal
ჩათვლა: მაჰალი
კომენტარი: ინდოეთის ქალაქ ღაზიპურის ნაგავსაყრელის სიმაღლე თითქმის აღწევს ქვეყნის მთავარი სიმბოლოს - ტაჯ მაჰალის სიმაღლეს. ნარჩენებისგან შექმნილ ნაგებობას Trash Mahal-ი შეარქვეს.
წყარო:
https://www.reddit.com/r/todayilearned/comments/1i0do4o/til_ghazipur_landfill_is_nicknamed_trash_mahal/
https://edition.cnn.com/2024/04/23/india/ghazipur-delhi-landfill-fire-intl-hnk/index.html

3. 7-ქულიანი შეკითხვა

კინორეჟისორმა ელია კაზანმა ცნობილ **ამერიკელ მწერალს** სთხოვა რომანის **ეკრანიზაციის გადაღების** ნებართვა. მწერალმა მას უპასუხა, რომ **ნებას ვერ დართავდა**, რადგან **კიდს** ეს ნამდვილად **არ მოეწონებოდა**. წინა წინადადებაში ჩვენ შევამოკლეთ გვარი. აღადგინეთ ეს გვარი თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: კოლფილდს
კომენტარი: სელინჯერმა რეჟისორს ხუმრობით უპასუხა, რომ "თამაში ჭვავის ყანაშის" ეკრანიზაცია მის პერსონაჟს, გვარად კოლფილდს არ მოეწონებოდა, რადგან ჰოლდენი ვერ იტანს კინოს.
https://ka.wikipedia.org/wiki/თამაში_ჭვავის_ყანაში

4. 5-ქულიანი შეკითხვა
კათოლიკური ეკლესია იქსებს **ერეტიკოსებად** თვლიდა, რომლებიც **უარყოფდნენ ადამიანის უპირატესობას ბუნებაზე**. ირონიულია, რომ **ადოლფ ჰიტლერი**, რომლის **გენერლებსაც** "**ყასბებად**" მოიხსენიებენ, თავად იყო **იქსი**. დაწერეთ იქსი **არა ექვსი**, არამედ **ცამეტი ასოს** გამოყენებით.

პასუხი: ვეგეტარიანელი
კომენტარი: ვეგეტარიანელებს კათოლიკური ეკლესია ხორცის უგულებელყოფის გამო ერეტიკოსებად თვლიდა. ჰიტლერის გენერლებს მოიხსენიებდნენ, როგორც ყასბებს, ხოლო თავად ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო. სიტყვები "არა ექვსი, არამედ ცამეტი ასოს გამოყენებით" მინიშნება იყო, რომ ვეგეტარიანელი უნდა დაგესახელებინათ და არა ვეგანი.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Vegetarianism
https://en.wikipedia.org/wiki/Adolf_Hitler_and_vegetarianism#:~:text=All%20accounts%20by%20people%20familiar,some%20stating%20he%20ate%20meat.
https://telegrafi.com/en/njihuni-kasapet-e-hitlerit-fotovideo/
https://www.amazon.com/Butcher-Poland-Hitlers-Lawyer-Frank-ebook/dp/B00BVUEIEM

5. 6-ქულიანი შეკითხვა
როჯერ ჟელიაზნის ნაწარმოებში **პრინცი ხანგრძლივი მგზავრობის** შემდეგ ამბობს, რომ **თავი სფინქსი ჰგონია**. **ჰარი პოტერის** წიგნების სერიაში, ისევე, როგორც **ბერძნულ მითოლოგიაში**, სფიქნსები ძირითად **ულრან ტყეებში** ცხოვრობენ. **რა შევცვალეთ სფინქსით**?

პასუხი: კენტავრი
კომენტარი: ცხენით ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ პრინცმა თავი კენტავრს შეადარა, რადგან თითქოს შეეზარდა კიდეც თავის ცხენს. პოტერიადის მსგავსად, კენტავრებს ბერძნულ მითებშიც ძირითადად ულრან ტეებში ვხვდებით.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/The_Chronicles_of_Amber
https://ka.wikipedia.org/wiki/კენტავრები

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ-ერთ **კარიკატურაზე** ცნობილი **პოლიტიკოსი რობერტ დაუნი უმცროსის** მიერ განსახიერებულ **პერსონაჟზე** ამბობს, რომ ის **მისი ოცნების მამაკაცია**. დაასახელეთ ეს **ბრიტანელი პოლიტიკოსი**.

პასუხი: მარგარეტ ტეტჩერი
კომენტარი: დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის მეტსახელია “რკინის ლედი”. კარიკატურაზე რკინის ლედიმ რკინის კაცს ოცნების მამაკაცი უწოდა.
წყარო:
https://www.facebook.com/photo.php?fbid=363155763758750&amp%3Bset=pb.363140923760234.-2207520000.1368603417.&amp%3Btype=3&amp%3Bthea

7. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

Dors, hemi-face au lacis d’eau

თქვენ დაგირიგდათ **ფრანგი** მწერლის, ჟორჟ პერეკის მიერ შექმნილი ტექსტი. ავტორის ჩანაფიქრით, **იქსების თანმიმდევრობის დამახსოვრება** ამ ტექსტით უფრო **ადვილად** იქნებოდა შესაძლებელი. დაასახელეთ იქსები.

პასუხი: [მუსიკალური] ნოტები
კომენტარი: ტექსტზე მოცემული სიტყვები თანაჟღერადია ნოტებისა: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო. ჩანაფიქრის მიხედვით, ამ ტექსტის დახმარებით უფრო მარტივად დაიმახსოვრებდით ნოტებს.
წყარო: https://imgur.com/a/zaELo4B

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

ერთი წიგნის პერსონაჟი, რომელიც **გრძელ ხელს** კლასში **გაუჩერებლად აქნევდა**, **იქსს შეადარეს**. იქსებს ვხვდებით როგორც **ნიდერლანდელი მხატვრების ნახატებზე**, ასევე - **ესპანელი მწერლის 1605 წლის ნაწარმოებში**. დაასახელეთ იქსები **ორი** სიტყვით.

პასუხი: ქარის წისქვილები
კომენტარი: გრძელი ხელის გაუჩერებელი ქნევის გამო პერსონაჟი ქარის წისქვილს შეადარეს. ნიდერლანდები ქარის წისქვილთან მკვეთრად ასოცირდება. ქარის წისქვილები გვხვდება სერვანტესის “დონ კიხოტშიც”.
წყარო: https://sites.google.com/view/hogwartsgeorgia/ჰარი-პოტერი-და-ფილოსოფიური-ქვა-pdf
https://ka.wikipedia.org/wiki/დონ_კიხოტი
https://fineartamerica.com/art/paintings/dutch+windmill

9. 7-ქულიანი შეკითხვა
1959 წელს ფრანგ დიზაინერ კრისტიან დიორს **საბჭოთა მოსკოვში** მოდის ჩვენების გამართვის უფლება მიეცა. იმდროინდელი ფრანგული გაზეთები წერდნენ, რომ დიორმა **ასეთი იქსი აბრეშუმით დაამშვენა**. **თეატრებში ხანძრის** თავიდან **ასაცილებლად** იყენებენ **სპეციალურ ასეთ იქსებს**. დაწერეთ ორი სიტყვა, რომლებიც **შევცვალეთ** სიტყვებით “ასეთი იქსი”.

პასუხი: რკინის ფარდა

კომენტარი: რკინის ფარდა ცივი ომის დროს კაპიტალისტური და სოციალისტური ბლოკის ქვეყნებს შორის რთული და იზოლირებული საზღვრის საერთო სახელია. ფრანგული გაზეთები წერდნენ, რომ დიორმა რკინის ფარდა "გაალამაზა". თეატრებში იყენებენ რკინის ფარდებს ხანძრის პრევენციისთვის.
წყარო: https://t.me/rtvimain/107382
https://en.wikipedia.org/wiki/Safety_curtain

10. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]



ჟურნალ "თაიმის" **1982 წლის** გარეკანზე ვხვდებით **ახალგაზრდა**, **იდეებით აღსავსე ამერიკელს**, რომელიც ამერიკაში ნამდვილი **ტექნოლოგიური სამოთხის** დამყარებას გვპირდება. **არ გთხოვთ** ამ ამერიკელის დასახელებას. **ხუთასოიანი** სიტყვით დაწერეთ, რა **დავფარეთ** მასალაზე.

პასუხი: ვაშლი
კომენტარი: გარეკანზე გამოსახულია ეფლის თანადამაარსებელი სტივ ჯობსი, რომელსაც თავზე ვაშლი ადევს, რაც ერთგვარი ალუზიაა ნიუტონზეც და მისი ბრენდის ლოგოზეც. სიტყვა "სამოთხე" კი დმატებით მინიშნებას წარმოადგენდა ედემის ბაღსა და ვაშლზე.
წყარო: https://time.com/3462424/the-seeds-of-success/

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ამერიკაში მოღვაწე ბარტოლო კოლონის ბავშვობაში **მუყაოს ყუთისგან** დამზადებული **იქსით** უწევდა ვარჯიში. წიგნში "**თამაში ჭვავის ყანაში**" იქსზე **ლექსებია** დაწერილი, რათა პერსონაჟი **გამოთავისუფლებულ დროს კითხვით გაერთოს**. დაწერეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: ბეისბოლის ხელთათმანი
კომენტარი: არცთუ შეძლებულ ბარტოლოს ბეისბოლში ვარჯიში ხელნაკეთი, მუყაოს კოლოფისგან დამზადებული ხელთათმანით უწევდა. სელინჯერის წიგნის პერსონაჟი ლექსებს კითხულობს მანამ, სანამ ბეისბოლის ბურთი მისკენ არ მიემართება.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Bartolo_Colón
https://eon.ge/wp-content/uploads/2018/11/თამაში-ჭვავის-ყანაში.pdf

12. 7-ქულიანი შეკითხვა
ოქროს გლობუსის წამყვანმა აღნიშნა, რომ **ასაკის მიუხედავად** უეცრად **გალამაზებულმა ჰოლივუდის მსახიობებმა** მადლობა პირველ რიგში არა ღმერთს, არამედ **იქსებს** უნდა გადაუხადონ. ერთ ფილმში პერსონაჟი **იქსთან მიდის**, რათა **ახალი იდენტობით** სრულფასოვნად შეძლოს **შურისძიება**. **ორი სიტყვით** დაასახელეთ **პროფესია**, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: პლასტიკური ქირურგი
კომენტარი: ჰოლივუდის ვარსკვლავები ზედმეტად კარგად გამოიყურებოდნენ ასაკთან შედარებით, ამიტომ კომიკოსმა რიკი ჯერვაისმა აღნიშნა, რომ მსახიობებს მადლობა პლასტიკური ქირურგებისთვის უნდა გადაეხადათ. ფილმის პერსონაჟი გარეგნობას იცვლის, რათა შურისძიება დაუბრკოლებლად შეძლოს.
წყარო:
https://www.independent.co.uk/arts-entertainment/films/news/so-long-ricky-gervais-his-most-offensive-golden-globes-moments-8213513.html
https://www.imdb.com/title/tt0119094/

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი **ვიდეოთამაშისას** განხილვისას, ბლოგერი **თამაშობს სიტყვებით** და ამბობს, რომ ბერძენი ფილოსოფოსი **კრიტე** ჯერ **არაა სრულად წარმოჩენილი** და ის **მხოლოდ ვერსიაა**. წინა წინადადებაში ჩვენ **ოთხი ასო ორჯერ გამოვტოვეთ**. დაწერეთ ეს ოთხი ასო.

პასუხი: დემო
კომენტარი: სიტყვებით თამაშის მიხედვით, ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და მხოლოდ დემო ვერსიას წარმოადგენს. დემო ვერსიას რაიმე ნაწარმოების არასრულყოფილ, საცდელ ვერსიას უწოდებენ.
წყარო: https://www.youtube.com/watch?v=2wvvGGYb3IA&list=LL&index=1
https://en.wikipedia.org/wiki/Democritus

14. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

**** away the *****

თქვენ წინაშეა ბრიტანული მუსიკალური ჯგუფის **ნამუშევრის სათაური**. ნამუშევარი ეხება **სახარების** ეპიზოდს, როდესაც **ანგელოზმა გააკეთა ეს**, რათა ყველას დაენახა, რომ **ქრისტე აღდგა**. **არ** გთხოვთ "**ამის გაკეთებით**" **შეცვლილი** სიტყვების დაწერას. დაასახელეთ **ბრიტანული ბენდი**, რომლის **სახელშიც ფიგურირებს** მასალაზე **გამოტოვებული ორი სიტყვა**.

პასუხი: როლინგ სტოუნზი
კომენტარი: მათეს სახარების მიხედვით, ანგელოზმა გადააგორა ქვა იესოს საფლავიდან. ნამუშევრის სახელი ჟღერს, როგორც "Roll Away the Stone". თავის მხრივ, გამოტოვებული ორი სიტყვა ფიგურირებს სხვა ბრიტანული ბენდის, როლინგ სტოუნზის სახელში.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Roll_Away_the_Stone
https://en.wikipedia.org/wiki/The_Rolling_Stones

15. სიტყვებით "ამის გაკეთება" შეცვლილია **ორი სიტყვა**.
ვაგრძელებთ! ერთი მუსიკალური ალბომის გარეკანზე გამოსახულია **კაცი**, რომელიც **აკეთებს ამას**. ერთ-ერთი ვერსიით, ეს კაცი არის **მკვლელი**, რომელმაც გადაწყვიტა, **უარი ეთქვა ბინძურ**

სამუშაოზე. დაასახელეთ **პიროვნება**, რომელმაც, ცნობილი გადმოცემის თანახმად, **ეს გააკეთა პირველ საუკუნეში**.

პასუხი: პილატე პონტოელი
კომენტარი: ამ შეკითხვით გავაგრძელეთ სახარებისეული თემატიკა. ალბომის გარეკანზე გამოსახული კაცი ბინძური სამუშაოსთვის ნათქვამი უარის ხაზგასასმელად იბანს ხელებს. პილატე პონტოელმა ხელები დაიბანა, რათა ეჩვენებინა, რომ წვლილი არ მიუძღოდა იესოს გასამართლებაში.
წყარო: https://www.discogs.com/release/730499-UK-Danger-Money